№ 124

კვირა, 11 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 124

კვირა, 11 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## „ივერიის" რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

განსაკუთრებული

## კომისია,

რომელსაც მინდობილი აქვს გაწერა, 1897 წლის უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტილებისა ძალით, 1898 წლიდგან შემოღებულ, საკომლო გადასახადის ნაცვლად, ქ. ტფილისის უძრავ ქონებაზედ სახელმწიფო გარდასახადისა, აცნობებს სახლის პატრონთ, დაწესებულებათა და უწყებათ, რომელთა ქონებაზედაც ეს გადასახადია: 1, რომ გადასახადისა და იმ ხარჯის გაწერა, რომელიც 1900 წელს იმის მოკრეფას მოუნდება, პირველი—120,714 მან., ხოლო მეორე—3,200 მან., უკვე დასრულდა და გამოკიდულია მსურველთათვის წასაკითხად და გადასათვალიერებლად კომისიის კანცელარიაში, რომელიც იმყოფება ტფილისის სახაზინო პალატის სადგომში, სადაც გადასახადის გამღებთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველივე განმარტება კომისიის თავმჯდომარისაგან; 2, რომ კომისიის მიერ მოხდენილს გაწერაზედ გადასახადის ვამღებთ, ერთის თვის განმავლობაში იმ დღიდგან, რა დღესაც ეს განცხადება დაიბეჭდება, შეუძლიანთ თავიანთი შენიშვნები განსაკუთრებულ კომისიასვე წარუდგინონ, ხოლო იმათ, ვინაც ამ შენიშვნათა გამო კომისიის გარდაწყვეტილებით უკმაყოფილო იქმნება, შეუძლიანთ საჩივარი წარუდგინონ კომისიას, კომისია-კი ამ საჩივარს საგუბერნიო გამგეობას გადასცემს, ამასთან არც შენიშვნებს და არც საჩივრებს ღერბის გადასახადი არ ედება. იმათ, ვისაც რამე ცნობის მიღება უნდა, საჭიროა წინ-და-წინვე დაიხსომონ ის №№, რომლითაც აღნიშნულია მათი უძრავი ქონება ქალაქის აღწერილობით. (1—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე

კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სალოსტაქრო.

**ი. დ. გეთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიური და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

**გუკა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).**

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაზი, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ტფილისში, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, სდგება განსაკუთრებული კომისია იმ წესების პროექტის შესამუშავებლად, რა წესითა და რიგითაც უნდა მოხდეს მუშაობა ამიერ-კავკასიაში ადგილ-მამულის მხრივ გლეხთა მოსაწყობად. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ი. ს. მედვედევი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე კავკასიის მთავარ-მართებლის წარმომადგენელი და ზოგიერთ გუბერნიების სახელმწიფო ქონებათა გამგეები.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1900 წელს კავკასიის მთავარ-მართებლისათვის გამოწერილ 225000 მანეთის გარდა, ახლა 100,000 მანეთის კრედიტი კიდევ გაუხსნია იმ აზრით, რომ ადგილობრივ გავრცელებულ საქონლის ჭირის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიება იქმნას მიღებული და კავკასიის საჯეითალო სასანიტარო ნაწილის მოხელეთ მიეცეს ჯამაგირი.

*** სამასწავლებლო კურსებზედ წელს ტფილისში დაბარებული იყო 60 მასწავლებელი სამრევლო-საეკკლესიო სკოლისა, ჩამოვიდა კი კურსებზედ სულ 33 მასწავლებელი. იმ მასწავლებლებს, რომელნიც კურსს კარგად გაივლიან, ამის მოწმობანი მიეცემათ.

*** მთავრობამ, როგორც ვუწყით, დააწესა ახალი თანამდებობანი სახელმწიფო მიწების ზედამხედველებისა. ასეთი ზედამხედველი სულ 66 იქმნება, აქედგან კავკასიაში—40. ამ ზედამხედველებმა იმ 36 საგანგებო საქმეთა მოხელეების მაგიერობა უნდა გასწიონ, რომელთაც დასახელებულ ადგილების თვალ-ყურის ჭერა ჰქონდათ მინდობილი. ამას გარდა ახალმა ზედამხედველებმა მიწის

## ფელეტონი

### მგოსნის სიმღერა

სამს წელს სჯა იყო სასუფეველში
მომცენ თუ არა ნება წერისა:
მე ყური ვუგდებდი სულ-განაბული,
ფიქრს სცემდა ტალღა გულის ზგერისა.
თაკი მომეკლა, ამას ვფიქრობდი,
ოონე არ იყო მოთმინებისა.
უფლისა საბჭომ კვლავ ნება დამრთო
ჩანგის აღების და ზედ მღერისა.
დიდება უფალს, რაკი შევიძელ
კვლავ სამსახური ჩვენის ერისა,
დაჩაგრულების გამოსარჩლება,
გათახსირება იმის მტერისა!
დიდება უფალს, რომ კვლავ მომეცა
ძალა ციურის ალმა-ფრენისა,
რომ სიმუნჯისა ტვირთსქვეშ არ მოვკვდი,
კვლავ შემიძლიან დაძვრა ენისა
და უხმარ საგძლად სიფლ[illegible] არ მიმდევს
მწარე ნაღველი გულის-კვნესისა!

ვაჟა-ფშაველა

### რკინის გზით განჯისკენ

(ფიქრები და შენიშვნები)

„დაუშთა განგებას, რადა კეთილად სცვალოს ბოროტი, ბნელი გარდააქციოს ნათლად და წყლული ჰკურნოს"...

პლატონ იოსელიანი.

ყველა პარიჟისკენ... გამოფენა... ევროპა... ვნახოთ, დავსტკბეთო... ჰე, მეც-კი მიტოკს გული იქითკენ, მაგრამ დასატკბობად-კი არა... ვინ ოხერი იფიქრებს იმას, რაც თავისს სიცოცხლეში არც-კი ჰლანდებია!.. არა, მარტო იმიტომ, რომ მიმძიმს მოკვდეს კაცი ისე, რომ ვერა ჰნახოს, როგორ სცხოვრობენ ისინი, რომელნიც რამდენიმე საუკუნეა იბრძვიან მარტო მისთვის, რომ ადამიანურად ეცხოვრებოდეს ყველას! არა ნახოს ის ერნი, რომელთაც ასულდგმულებთ დიდი იდეალები და იდეიები და ამ გზა კვალზედ ტანჯვით კიდეც მოიხვეჭეს რამ... რომელთა ჰკვის ძალის ნამცეცებითა და ნასუფრალით ვიკვებებით ჩვენც და მთელი დუნიაც, და ვაი იმათ, ვინც უარ-ჰყოფს ამ ნამცეცებს!

უილაჯობით გამწყრალი განჯისკენ დავეშვი—აზიისკენ და შევტოპე ისტორიის პრიმიტიულ ხლარცვებში... რა ყარაბაღული მერანი მომინდებოდა, ან ქურთი ფეხ მარდი... შევახტი ზლაპრულს გველაშაპს და მარჯვედ მოვიკალათე ვაგონის ერთ-ერთ ფანჯარასთან. დაიწივლა, დაიძრა და არახრახდა გველაშაპი... მშვენიერი ღამეა მაისისა, კაშკაშა და მთვარიანი... ამ დროს ქართველი კაცი უნდა იდუმალ კოხტა ადგილს იჯდეს, მას ბულბული უნდა დასტვენდეს, გარს „розы красныя отъ стыда" უნდა ჰფშვენდნენ, როგორც გეინე ამბობს, ფიქრებიც [illegible]ეშხით მთვრალნი უნდა მოსდიოდეს... აქ ჯოჯოხეთური გშიტინ-რახრახი გაყრუებს ბულბულის გალობის წილ; ვარდების მაგიერ გვერდით ვინ იცის სადაური ვაგინდარა არ გიზის... ვაგონები მთლად გაჭედილია ხალხით. ტფილისის სანთელ-ფარნები გარბიან თვალ-წინ, იმიტომ ჯერ კიდევ ევროპიული ფიქრები მოდის თავში... განსვენებულის რუსეთის პუბლიცისტის შელგუნოვის სიტყვები მაგონდება. „აქამომდე ცენტრი ჩრდილოეთი იყო, ეხლა სამხრეთისკენ გადავიდა. ამას მაშინ მიჰხვდები, როდესაც რკინის-გზით დაჰმგზავრობ—სამხრეთისკენ მიმავალი ვაგონები ხალხით გაჭედილა, ჩრდილოეთისკენ ცარიელი ბ ხალვათი... ბათუმი, ბაქო, ოდესა იზიდავს თავისაკენ არა მარტო სიმდიდრით, არამედ სითბოთი... რუსეთის მკვიდრთა ახალი მისსია ტფილისა და მადლიანის ქვეყნებისკენ გამგზავრებაა" და სხ.,

ამ ფიქრებით გავცდი ტფილისს და მივაჩერდი ფანჯარას... მტკვარი, შავ-ნაბადა, წმიდა ბარბარე!.. აგერ ურიცხვ სპარსულ ჯარს ჩამოუბნელებია სერები და მტკვრის პირები. ლურჯ ქურთულზედ მჯდარი ალამაჰმად-ხანი ჩაყვითლებულ უწვერ-ულვაშო ხოჯის სახით ხელს ზეცას იწვდის და ჰყვირის; „ვისაც გიყვართ მაჰმადი, ირანი და ხანი, მომყევით მე!" და შედის ცხენით გაცოფებულ მტკვარში. „ჰალლა"! შესძახეს თანამგზავრთ და გადაჰყვნენ წყალში. წელ-ზევით-ღა სჩანს ხანი—ცქვიტი ყურები და კოხტა თავი ქურთულ ცხენისა მისცურავს ნაპირისაკენ. აგერ გავიდა, თან გაჰყვნენ ასამდე ხანი, ბეგი, ბეგლარ-ბეგი კოხტად დარაზმულები. განჯის ხანი ჯავათიც იქაა. მოართვეს დურბინდი და ხარბად დაათვალიერა ქართველი სანგლები, იმათი ჯარი... აგერ ისევ გასცურა მტკვარი და მედგრად შეებრძოლა ქართველობას... სანგალს სანგალზედ იღებს, ზედ გადადის ქართველთ მარჯვე ნასროლ ტყვიით ჩახოცილ სპარსელებზედ და წინ-კი იწევს... ბოლოს სანგალთან ხელ-ჩართულაა—სისხლის რუები ერთვის მტკვარს. აგერ შინაურებმავე ქალაქს უკანიდგან წაუკიდეს ცეცხლი და გულ-დაწყვეტილი ქართველობა ნარიყალას შეცვივდა... სისხლის მსმელი ყეინი ქალაქს აოხრებს... მოხუცი ერეკლე არაგვზედ მირბის და იქ დურა ტყავში გახვეული ცხარე ცრემლით სტირის ქვეყნის უბედურებას... შუბლ-შეჭმუხნული ლიონიძეც თან ახლავს... ფანჯრიდგან კიდევ გავაშტერე თვალები და გავარჩიე იაღლუჯა, მის თავს მარაბდა. • თვალები დავხუჭე, მინდა ფიქრები თავიდგან ავიცდინო, მაგრამ აგერ ისახან-ყორჩიბაში თათრის ჯარით მარაბდაში... მეფე თეიმურაზ I, ათაბაგი მანუჩარ, ასლანიშვილი, ბარათა ბარათაშვილი და სხვ. ტაბახმელიდგან წინ მოუძღვიან ქართველ რაზმებს... აგერ ეკვეთნენ ერთმანეთს... დაჰკივლეს ქართველებმა... აირია სპარსთა ჯარი... მანუჩარ ათაბაგმა დასცხო ხმალი ერევნის ბეგლარ-ბეგ ამირგურახანს და თავი გაუპო შუაზედ. „ოჰი შენ უპურ-მარილოვო!!. შეჰბღავლა გურანხანმა... იცნო ათაბაგმა მოკეთე, და ცივად დაანება თავი,—სხვებს შეუტია... „თეიმურაზ მოგვიკლეს!.. შეჰკვნესეს ქართველთ, ყველას მეფე ეგონა და მოშალეს სიმხნევე... სპარსთ ძალა დაატანეს და გამოილალეს ქართველები—თურმე თეიმურაზ მუხრან-ბატონი მოეკლათ... 10,000 დაწვა იქ ქართველი, 18,000 სპარსი... აგერ სისხლში ტივტივებდნენ ცხრა ძმანი მაჩაბელნი, ცხრა ძმანი ხერხეულიძენი!..

დაიწივლა საშინლად მატარებელმა და რიხინით გაჩერდა ყარაიის სადგურთან. ავახილე თვალები, გამოველ ვაგონის კალთაზედ და გადავავლე თვალი ნაცნობ არე-მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიჯვნის საქმეებშიაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. ზედამხედველებს ამა მიმდინარე წლის ივლისის თვიდგან დანიშნავენ.

*** პარასკევს, 9 ივნისს, სხდომაზედ ქალაქის გამგეობას ლაპარაკი ჰქონდა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის საკუთარის შენობის აგებისა, ხოლო მანამდე სადგომის დაქირავების შესახებ. ამ სხდომას დაესწრო ტფილისის პოლიცმეისტერიც, რომელმაც განაცხადა, რომ სადგომის შოვნა ვერ მოვახერხეთ, რადგანაც სახლის-პატრონები 8000 მანეთს თხოულობენო და მოითხოვა, ეს საგანი იმ დრომდე იქმნას გადადებული, ვიდრე ცეცხლის მქრობელ რაზმის გადიდების პროექტი იქმნება განხილულიო. ლაპარაკი იყო აგრეთვე იმის შესახებაც, რომ სახლის-პატრონებს გააწერონ მცირე გადასახადი ბუხრების დაწმენდისათვის. ბოლოს გამგეობამ დაადგინა: ვიდრე წარუდგინოს საბჭოს სადგომის აშენების საქმე პროექტის განხილვამდე, შესდგეს კომისია გამგ. წევ. თავ. ჩერქეზიშვილისა, ქალაქის არქიტექტორისა და ინჟენერისაგან, რომელმაც პოლიცმეისტერთან ერთად უნდა შეამოწმოს ძველი სადგომი ცეცხლის მქრობელ რაზმისა, და დაევალოს თავ. ჩერქეზიშვილს ამის შესახებ თავისი მოხსენება წარუდგინოს გამგეობას.

*** პარასკევს, 9 ივნისს, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) წარუდგინოს სექტემბერში ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია ქალაქის მე-3 სესხის გასანაღდებლად; და 2) დაევალოს ქალაქის ინჟენერს გადაათვალიეროს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორთან ერთად პროექტი ქალაქის საყასბოს აშენების შესახებ იმის გამოსარკვევად, შეიძლება თუ არა საყასბოს აშენებლად ნავარაუდევი 500,000 მ. შემცირდეს 350,000-მდე, როგორც პირველად იყო გამოანგარიშებული.

*** ამას წინად ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში გაგზავნილ იქმნა ექიმი და ბეითალი ამ მაზრების სანიტარულის მხრივ გამოსაკვლევად და აგრეთვე იმის გასაგებად, საქონლის ჭირი არის იქ თუ არა. როგორც ამ გამოკვლევამ აღმოაჩინა, დასახელებულს მაზრებში არავითარი საქონლის ჭირი არ არის.

*** გუშინ წინ, 9 მაისს, სად. გომში აკურთხეს რკინის გზის ახალი ხიდი.

*** როგორც მეჯუდის ხეობიდგან გვატყობინებენ, მთაში ჯერ ისევ თურმე ცივა და გადაუღებელი წვიმა მთიულ ქართველებსა და ოსებს მუშაობაში ხელს დიდად უშლის.

*** კავკასიაში საბეითალო მეთვალყურეობის გასაძლიერებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს კავკასიის საბეითალო ნაწილის გამგესათვის 15 ბეითალი-სტუდენტი გამოუგზავნია ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტიდგან. ზოგიერთი ამათგანი უკვე ჩამოვიდა ტფილისში. სტუდენტები კავკასიის სხვა-და-სხვა გუბერნიებსა და ოლქებში იქმნებიან გაგზავნილნი.

*** 18 ივნისს გორში წავა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. სესსია იქ 26 ივნისამდე დაჰყოფს. უნდა განიხილოს სესსიამ სულ 21 საქმე.

*** ფინანსთა სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ: უმაღლესად დამტკიცებულის, ამ წლის 25 იანვარს მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით გარდაწყვეტილია 1887 წელს გამოცემული ქაღალდის ფული 25 მანეთიანი, 10 მან. და 5 მან. და 1896 წ. გამოცემული 100 მან. ისევ დარჩეს ხმარებაში, 1902 წ. 1 იანვრამდის. ამიტომ აღნიშნული ღირსების ქაღალდის ფული 1901 წ. 31 დეკემბრამდე ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში დაუბრკოლებლივ იქმნება მიღებული.

*** ქუთაისის საგუბერნიო მთავრობის მიერ შემუშავებული ქუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო გარდასახადის პროექტი იმ პირებზე გასაწერად, რომელნიც საკომლო გარდასახადს არ იხდიან, მთავარ-მართებლის საბჭომ განიხილა და გენერალ-ლეიტენანტმა ფრეზემ უკვე დაამტკიცა.

*** საერო განათლების სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ რეალურ სასწავლებლებს ნება მიეცეს მოსამზადებელ კლასების პარალელური განყოფილებანი გახსნას.

*** 22 მაისს ამა წლისა ტფილისის ოლქის სამართლომ განიხილა საქმე ქალაქის გამგეობისა და ქალაქის ყოფილ მოიჯარადრის კართანიანცისა (კართანიანცს ქალაქის განათების საქმე ჰქონდა აღებული). კართანიანცი ედავებოდა ქალაქს 9,600 მან., რომელიც ქალაქმა სხვა-და-სხვა დროს მას თითომც უკანონოდ გარდაახდევინა ჯარიმად და ფარნების შესაკეთებლად. ოლქის სასამართლომ ამ საქმის შესახებ განაჩენი გამოაცხადა 5 ივნისს, რომლითაც მომჩივანს ბ-ნს კართანიანცს მიუსაჯა ქალაქისაგან 1,600 მან. ხოლო დანარჩენ 8,000 მან. უარი უთხრა.

*** ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ტფილისის ქალაქის მოურავს, დაბრკოლებას არა ვხედავ, კნ. ასლამაზოვი ქალაქის ლომბარდის გამგის თანამდებობის აღსრულებას შეუდგეს, ხოლო ივანე ასლამაზოვი—საჯარო გაჭრობის დარბაზის გამგის თანამდებობის აღსრულებასაო.

*** 8 ივნისს, ელისაბედის ქუჩაზედ, შმიდტის ღვინის სარდაფში ქეიფობდა სამი მუშა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებისა. როდესაც დაითვრნენ, ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც ერთმა მოქეიფეთაგანმა—ჩილენკომ ამოიღო ჯიბის დანა და დაერია იმით ამხანაგებს. ერთი ამხანაგი—დიდიშვილი სასიკვდილოდ დასჩრა მარცხენა მკერდში, ხოლო მეორე—კაკაშვილი—ზურგში. დიდიშვილი გზაში გარდაიცვალა, ხოლო კაკაშვილი, რომელიც ეხლა მიხეილის საავადმყოფოშია, ექიმების აზრით, საშიშ მდგომარეობაში არ არის.

*** 8 ივნის პოლიციამ დაიჭირა მარკოზ სოხაძე, რომელსაც ს. კურდღელაშვილის სარდაფიდგან ღვინის მოპარვა ჰბრალდება.

*** დღეს, 11 ივნისს, მასწავლებელ ქალთა სადგომში (გრაფისა და ხამების ქუჩების კუთხე) გაიმართება ბაზრობა ვერის ქალთა მე-2 სკოლის მოსწავლეთაგან მომზადებულ ნივთებისა.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო.

5 ივნისი

ამ დღეს წაკითხულ იქმნა წარსულის კრების ოქმი, რომელშიაც საყურადღებოდ მიგვაჩნია სანიტარულის კომისიის გარდაწყვეტილება, რომლითაც იგი სთხოვს საბჭოს, რათა მან სახლების გარდასახადი ერთი პროცენტით მომეტებული გახადოს, რომ ამ ფულით დაქირავებულ იქმნას ნაგვის გამტანი ურმები. სანიტარულის კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი გამრეკელი საჭიროდ ჰრაცხდა, რომ ქალაქი იგვებოდეს და იწმინდებოდეს აქა-იქ და არჩევით-კი არა, ერთბაშად, რისთვისაც აუცილებელია აწ არსებულს ურმებს მიემატოს იმდენი, რამდენიც ამ საგნისათვის საჭიროა. ხოლო ამ საშუალების შესაძენად საჭიროა, რათა ზემოხსენებული გადასახადი 10 პროცენტამდე ავიდეს, რომლისაგან ერთი პროცენტი განსაკუთრებით ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. ამ აზრის თანახმა არის ხმოსანი თ. მ. ფალავანდ. ხმოსანი დ. ჩიქვაიძე იმ აზრისაა, რომ ერთი პროცენტის მომატებით შეიძლება მხოლოდ 4000 მანეთის შეკრება და ამ საშუალებით ხუთი ათასის ეზო-გარემოს გაწმენდა მოუხერხებელი არისო.

ბ-ნნი ს. ლორთქიფანიძე, დ. ნაზაროვი და ჭილაძე ამბობენ, რომ გადასახადის ტვირთი ყველას თანასწორად დააწვება, სარგებლობით-კი მხოლოდ ქალაქის შუაგული ისარგებლებს, განაპირა ადგილები-კი ისევ სიბინძურეში დარჩებიან, როგორც ეს აქამდე ხდება, ამიტომ უმჯობესი იქნება, ყოველი მცხოვრები იძულებული გავხადოთ, თითონ სწმინდონ თავიანთი ეზო გარემო და, ვინც ამ მოთხოვნილებას არ აღასრულებს, პასუხის გებაში მივცეთო.

ამ გვარი ზომები არა ერთჯერ ყოფილა გამგეობისაგან მიღებული, მაგრამ ყოველთვის უნაყოფოდ ჩაუვლიაო, საერთოდ იყო შენიშნული. ხმოსანმა ზ. აბდუშელიშვილმა გაამჟღავნა, რომ თვით გამგეობა არღვევს სანიტარულ მოთხოვნილებას და მცხოვრებლებს რაღა უნდა მოეთხოვოსო: მწვანილის ბაზარში თევზის საწყობი მხოლოდ ორს ადგილს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორის მაგიერ ახლა ექვსია და აყროლებული თევზის სუნის შიშით ბაზარში გავლა გვიძნელდებაო. ბ-ნ კ. ბ. ლორთქიფანიძე სრულიად ეთანხმება სანიტარულ კომისიის დადგენილებას და თხოულობს, რათა იგი მიღებულ და განხორციელებულ იქმნას რაც შეიძლება მალე, რადგან თითქმის ყოველის მხრიდგან სხვა-და-სხვა სენის შემოსვლა მოსალოდნელიაო; თუ დავიგვიანეთ, როცა ავადმყოფობა გვეწვევა, ქალაქმა შეიძლება ათი და ოცი იმდენიც დახარჯოს, მაგრამ ასეთის ხარჯისაგან არა გამოვა რაო. რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომც ქალაქის შუაგული უფრო ისარგებლებს და განაპირა უყურადღებოდ დარჩებაო, ეგ უსაფუძვლო შიშიაო. შემდეგ კომისიის შუამდგომლობას კენჭი უყარეს და იგი უარ-ჰყვეს 23 ხმით წინააღმდეგ 8-ისა.

ეს უარის-ყოფა აი რას მოასწავებს: ქალაქს საჭირო ფულის გამოღება უძნელდება, ოთხი ათასი მანეთი გაწმენდისათვის საკმაო არ იქნება, მეტის შეკრებას გამგეობა ვერ მოახერხებს, ძალით გამგეობა მოქალაქეებს ქუჩას და ეზო-გარემოებს ვერ გააწმენდინებს და ამის გამო ქალაქი დარჩება ისევ ისე ბინძურად, როგორადაც ამ ჟამად იმყოფება, ვიდრე თვით ჭირი არ აიძულებს მცხოვრებთ თავისს თავისათვის თვითონ იზრუნონ.

---

რეს... აგერ დავით-გარეჯის უდაბნოს ხრიოკი სერები... აგერ თვითის სერიც, რომელზედაც დღეს დანგრეული აღდგომის ეკლესიაა და მისს გვერდით საწნახელი, სავსე ბერთა ძვლებით... დაიძრა მატარებელი .. მე ჩემ ადგილას დავჯექ და დავხუჭე თვალები შესასვენებლად, ფიქრების გასარეკად... მაგრამ შენი მტერი! აგერ თვალწინ მიდგება ჭაბუკი, მშვენიერ, მაგრამ სევდით სავსე სახით მეფე ლუარსაბი... იგი ამ ყარაის ვაკეზედ ცხენით მხარდამხარ უდგია სისხლის მსმელ შაჰ-აბაზს. დინჯად მიდიან თავქვე...

უკან ურიცხვი ბრბო მისდევს სპარსელთა... მათ შუა მოისმის ქვითინი და კვნესა ქართველთა ტყვეთა... აგერ სისხლში შებასრული ერთი რაზმი სპარსელთა ჯარისა ჰბრუნდება დავით-გარეჯის სერებიდგან... ამ უღმერთოთ ტრაპეზზედ დაუკლავთ აღდგომის წირვის შემდეგ ათასზე მეტი უიარაღო შემოსილი წმ. მამანი და ბერნი... შებასრულობა მათი ახარებს მხეც აბაზს...

— ვა; კაჭკაჭოვ?!. ენდი ლავე, ლავ!.. გაისმა ჩემ ყურებთან და თვალები გავახილე.

ენდი უზუმ ისავერდოვ?!. ისავერდოვ.. ჩე კოტრაწყ...სარსალე ტო!.. ესენი გახლდნენ ტფილისელნი ბაზაზნი, ორნი შლიაპით, მანჟეტითა და საკვოიაჟით გამოწყობილნი, ჰპლარა და ჯმუხა თანაძმას ბაზაზხანისა და ქარვასლის გმირების ამბავს ეკითხებოდნენ და ესეც ყველას ღირსების პატენტს ურიგებდა. . გიურჯს შეემატოს ის დღეები, რაც ამან „შათან", „პადლეც", „მაშენიკ", „სარსალ" სთქვა და ისიც მანჭვით. უმათოდაც ვიცოდი, რომ სიყრმიდგან ეშმაკის მსხვერპლნი იყვნენ ეს ვაჟბატონები, ამიტომ ყურები დავიცე და ისე დასაძინებლად მივწექ. აქსტაფა! აქსტაფა! დაიყვირეს აქეთ-იქიდგან და მატარებელიც გაჩერდა... ავადევნე თვალი მდ. აქსტაფის ხეობას სერებამდე, რომელთ იქით მშვენიერი დილიჯნის ხეობა იწყება, დავყე თვალით სამხრეთისკენ გამწკრივებულ ყარაბაღის სერებს, რომელთ შორის არის ყარათაფაც—აქედგან ქიზიყისკენ-ელდრისკენაც გავიხედე, მაგრამ ნისლი ჰქონდა მოდებული... დაიძრა მატარებელი და მე ყარა-თაფის ომის სურათები არ მანებებდნენ თავს... აგერ ფანა-ხანი სპარსეთისა, დაღესტნისა, შაქი-შირვანის ჯარებით განჯას შემოჰრტყმია. განჯის ხანი შავერდი როგორც მოხარკე თეიმურაზისა და ერეკლესა სთხოვს შემწეობას. „ქართველნო, ჩემო უშიშარნო ძმანო! ვინც არის ერთგული ჩემი და აქვს გული მამაცობისა, ჟამი ეს არის"!!. შესძახა მეფე ერეკლემ და შეუტია ყარა-თაფაზთან მოსულს ფანა-ხანის ჯარს... ერთი მუჭა ქართველნი ლომებრ იბრძვიან . აგერ მარჯვე დროს მთებიდგან გამოჩნდა თეიმურაზიც ქართველ რაზმით. დაჰკვლეს სპარსებს, დაუშინეს ზარბაზანი და ასტეხეს ბუკ-დაფის ცემა. პირი იბრუნა ფანამ და მოჰკურცხლა პრეზისაკენ. კაფვით ხმალ-შიშველნი გაჰყვნენ ქართველნი... შავერდს 10,000 თუმანი მოაქვს მეფეების წინ და ამდენსავე ჰპირდება ხარკად ყოველ წლივ ..

„შამხორ"! „შამხორ"! ჰყვირის კონდუქტორი... მტრედის ფრადაც ინათა. ვაი-ვალიერებ დუზ-ვაკეს ოდესმე განთქმულის შამქორის ომისას... ერეკლე ვიღას ახსოვს... თამარი, დიდებული თამარი, გიდგება წინ... განჯის პირდაპირ სამუხია—იქ სადაც იორი ერთვის ალაზანს და ცოტა ქვემოდ ალაზანი მტკვარს. მას ზემოდ შირაქია და შუა შირაქში, თითქმის შამქორის გადასწვრივ ყარლაჯი—ეხლა ციხე გალავან-სასახლეთა ნანგრევები. თამარი და დავით სოსლანი ყარლაჯს სხედან ოქროს ტახტზედ, მთელ საქართველოდგან ჯარი აქა ჰგროვდება. საპატიო სტუმრები შირვან-შაჰი, ამირ-მირმანი, ხორასნის დედოფალიც აქ ჰბრძანდებიან... ჰიდაობა, ბურთაობა და განგაში საქართველოს ლაშქრისა ზეცას ადის... ვითარცა ბრბო შავარდენთა აიშალა ქართველთ ჯარი და გასწიეს განჯისაკენ—წინ უძღვის მას დავით სოსლანი და ანტონ ჰყონდიდელი ჯვარით ხელში.

სპარსეთის ურიცხვი ჯარი აბუბეკრს შამქორზე დაუბანაკებია. მხედართ-მთავარი „მამა პაპურ მხნეობას და გამარჯვებას აგონებს ქართველთ და ეკვეთებიან კიდეც სპარსებს. დავით სოსლანი ჯარით გადის შამქორის წყალს, ადის სერზედ და იქიდგან დაჰქროლავს სპარსთ. ზაქარია და ივანე მხარგძელნი წინიდგან აწვებიან ჯარით, ამ დროს ქართველთა ცხენოსანნი გარს ერტყმის სპარსებს და საშინლად ამარცხებენ... აბუბეკრი მარტო გარბის ცხენით!.. 12,000 სპარსი ჰრჩებათ ქართველთ ტყვედ...

თენდება.. ლანდები ჰქრება... განჯაც გამოჩნდა. უკანასკნელ კიდევ მეზმანება განჯის ჯავათ-ხან ალა მახმად ხანისაგან დაჯილდოვებული ქართველი ტყვეებითა და ნაძარცვით... მგონია ამას ჩემის თვალითა ვნახავ... მაგრამ გავიხსენე, რომ ერეკლე მეორე წელსვე მიუხდა განჯას, აიოხრა, დიდის ალაფით დაბრუნდა, ათასი ქართველი ტყვეც უკან წამოიყვანა; რომ გიორგი მეფისაც შეეშინდა ჯავათს და მოართვა ორი მძიმედ შეკაზმული ცხენი, 20 ჯორი, 40 აქლემი, 4 ძვირფასი შალი და ერთი თოფი ინგლისის მაუდი და თან მეგობრობასა სთხოვდა.

მიმაქანებს დაქირავებული ეტლი სადგურიდგან განჯისაკენ მშვენიერ გზა ტკეცილზედ, რომელზედაც ცხენის რკინის გზის ლიანდაგი აგია და მატარებლებს დაარიხინებენ. ქალაქამდე ხუთი ვერსია, მაგრამ სადგურიდანვე მარჯვნივ მიუყოლებიათ სახლები და თითქმის ქალაქთან გადაუბავთ... ვინ დასახლებულან მერე? რუსის მწვალებლები ალიზით ნაშენ თეთრ ქოხებში... აი თუ მარჯვეთ არ უთქვამს ბ-ნს შელგუნოვს რუსის მკვიდრის მისსიის შესახებ!.. მარცხნივ ტრიალი მინდორია, პირდაპირ თოვლიან ყარაბაღის მთებს უმზერ და თითქო მის ძირშია ბაღებში ჩანთქმული განჯაც... აი, თვით განჯა უშველებელის ჭადრებით, რომლებიც ქუჩებზეა. ვლამობდი ვიწრო, ტალახით შეზღუდულ ქუჩების ნახვას, მაგრამ სადღაა?!. ევროპიულს გარეგნობას აქაც ჩამოუხწევია! მიუნგრ-მოუნგრევიათ და გაუფართოებიათ ქუჩები, შევიწროებული და თიხის გალავანში ჩამჯდარი თათრე-

მეორე უმთავრესი საგანი იყო ბ-ნ აბულაძეთა სახლის შეძენა მომავლის სახელოსნო სკოლისათვის. ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება დაარსებიდგან ყოველწლობით წმინდა შემოსავლიდგან ათს პროცენტს ინახავს სახელოსნო და სტეხნიკო ცოდნის გავრცელების სასარგებლოდ. ამ გადადებული ფულიდგან ამ ჟამად შეგროვილა 25,000 მან. რამდენმამე ხმოსანმა განაცხადა, რომ ამ ფულით შეეძინათ მომავლის სახელოსნო სასწავლებლისათვის აბულაძეთა სახლი, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია საქალაქო სასწავლებელი. 8 მაისის კრებაზედ საბჭომ გარდასწყვიტა, რომ ამ სასწავლებლისათვის სახლი უთუოდ შეეძინა, მაგრამ, როცა აბულაძეთა სახლის შესახებ ალიძრა ლაპარაკი, საბჭომ უარ-ჰყო მისი შეძენა. ამის გამო ათმა ხმოსანმა ხელ ახალი განცხადება შემოიტანა, რომ ეს საგანი ისევ გარჩეულიყო. საბჭო დათანხმდა და მიანდა კომისიას, რომელსაც უნდა გამოეკვლია რამდენადაკ შესაფერი არის ეს სახლი მომავლის სკოლისათვის. კომისიამ, რომელიც შედგენილ იქმნა: ი. ი. ოცხელის, კ. ზ. ლორთქიფანიძის, მ. ე. დარახველიძის, ი. ზ. გველესიანის და ვ. ი. პეტრიაშვილისაგან, 5 ივნისის კრებაზედ წარმოადგინა თავისი აზრი, რომ აბულაძეთა სახლის შეძენა სასურველი არ არის, რადგანაც იგი სკოლის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და ძვირადაც დაჯდება. საბჭო დასთანხმდა. ამის შემდეგ მოხსენდა ჯეცხლის მქრობელი რაზმის შტატი, რაიცა ერთხმად მიღებულ იქმნა. აწ არსებული ნიხრი ხორცეულობის, თუმცა ძლიერ სამძიმოა, მაგრამ საბჭომ ისევე დასტოვა, რადგანაც სხვა ქალაქებში: ბათუმსა და ტფილისშიაც ეგეთი ნიხრი არსებობსო.

რიონის მარჯვენა ნაპირს მცხოვრებთათვის თივისა და შეშის მოედანი აქამდე იყო მოთავსებული ლოტკინისეულს ადგილზე, სადაც საბჭო საქალაქო ბაღის გაშენებას აპირობს. იქაურმა მცხოვრებლებმა ითხოვეს, რომ, თუ საბჭო ბაღის გაშენებას შეუდგება, სამეიდნო ადგილს ჩვენ ვიშოვითო, ან 4000 მანეთს შევიტანთ ქალაქის კასსაში ადგილის ფასადაო. საბჭომ დაადგინა: საბჭო ვალდებულად სთვლის თავისს თავს შეუდგეს ბაღის გაშენებას იმ დროიდგან, როცა მცხოვრებლები 4000 მანეთს შემოიტანენ, ან შეიძენ ისეთს სამეიდნო ადგილს, რომელიც ამ საქიროებისათვის შესაფერი და გამოსადეგი იქმნება.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქალაქ ქუთაისმა შეიძინა დიდი შენობა, სადაც წლევანდლამდის მოთავსებული იყო ოლქის სასამართლო. ახლა საბჭო იმის ცდაშია, თუ როგორ ისარგებლოს ამ სახლით, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მისცეს ქალაქ. მან დაადგინა: ზედა სართულის ერთი ნაწილი მიეცეს ქირით „რ. ქლუბს“, ხოლო მეორე ნაწილში მოთავსდეს თითონ ქალაქის გამგეობა; ქვედა სართულის ერთ ნაწილში-კი მოთავსებულ იქმნას საქალაქო წიგნთ-საცავი და ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება, მეორე ნაწილი ამ სართულისა დაიყოს ოთახებად და მალაზიებად მიეცეს მსურველთ.

ზ—ი

## წერილი ლანჩხუთიდგან

საქალებო სკოლისა და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსება.—სამკითხველოს შენობის აგება.—პარმოსველი და მეიდველების მხადება.

ძლიერ ესურვოდა სწავლა-განათლების მოყვარულ ლანჩხუთლებს საქალებო სკოლის დაარსებას სურვილი. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით მიეგება ხალხი ამ ფრიად კეთილ საქმის განხორციელებას. სკოლის დაარსების პირველსავე დღეს 70-ზედ მეტი მოსწავლე პატარა ქალი შეგროვდა და ამაზედ მეტი კიდევ შინ ზუზუნით გაბრუნდა უადგილობისა გამო. ან-კი რა უნდა ექმნათ, ვერც სკოლის შენობა დაიტევდა და ვერც მასწავლებელი იკისრებდა მეტის მოვლას. სკოლაში, სავალდებულო საგნებს გარდა, ასწავლიან: საკეკლუცო გალობასა და ჯვარ-ჯვრობით ქარგვასა და ქსოვას. მომავალ ენკენისთვიდგან სკოლას ეყოლება ორი მასწავლებელი; ერთის ჯამაგირს ეკვე შეეგპირდა სამრევლო სკოლების ზედამხედველი ბ-ნი თ. ჟორდანია, მაგრამ გვეჭვობთ, რომ თუნდაც ორმა მასწავლებელმა შესძლოს ყველა მსურველთა სწავლება.

ამ ჟამად სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს, მაგრამ სკოლის დამაარსებელისა და მმართველის ბლ. მღ. ეპიფანე ჩხაიძეს მოლაპარაკება აქვს უკვე ხალხთან, რომ სკოლას საკუთარი შენობა აუგონ. ამისათვის დარწმუნებული ვართ, როგორც დღემდის, ისე ახლაც არ შეუშინდებიან სწავლის მოყვარული ლანჩხუთლები ამ შენობის ხარჯსა და სკოლას საკუთარს შესაფერს შენობას აუგებენ. ასე რომ მალე სკოლა ორკლასიანი იქნება. რომელიც შესძლებს აწინდელს დედებს იმდენი ცოდნა შესძინოს, რომ თავიანთს შვილებს სახლშივე გაცნონ რა არის „ანი“ და „ბანი“.

საქალებო სკოლის დაარსებას მოჰყვა ახლა შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის დაარსება, რომელმაც წარმოება ბირველ აპრილიდგან დაიწყო. ამ ჟამად ამხანაგობას წევრად 150 კაცია. ჯერჯერობით საწევრო ფულის შემოსული 3,750 მ. ეს ფული მთლად ისევ წევრებზეა გასესხებული. წევრს შეუძლიან საწევრო ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს, არა ნაკლებ ორ-ორი მანეთისა თვეში. სესხის სარგებელი თვეში 10%-ა, ასე რომ თუმანს 12 კაპ. უწევს. სასურველი იქნებოდა თუმანი თვეში ორ შაურად გასესხებულიყო, რადგან, ეჭვი არ არის, ამხანაგობის საგანთან უფრო ახლო იქნებოდა. ასეთი უკეთესი წევრთა სიმრავლე იმისი მომასწავებელია, რომ ამხანაგობა მალე ფულის პატრონი გახდება. მაშ ვუსურვოთ გამგეობას სიმხნევე, მალთა გაორკეცება და მეცადინეობა, რომ ეს ნორჩი ამხანაგობა საგანს არ ასცდენოდეს და სასურველი ნაყოფი გამოიღოს. გამგეთ მაინც ისეთები არიან არჩეულნი, რომ ეჭვი არ არის, მათის მეცადინეობით, ამხანაგობის საქმე წარმატების გზას დაადგება.

თუ საქალებო სკოლისა და ამხანაგობის საქმე ასეთი სიჩქარით მიდის წინ, სამაგიეროდ ჩვენი მრავალ ტანჯული სამკითხველო ჯერ ისევ ძილის ბურანშია და ღმერთმა იცის სამარადისოსაც ხომ არ დაჭრჩეს ეს. მაგრამ არ იკითხავთ, რად არგუნა ბედმა ასეთი მწარე ხვედრი. შეუჩვენხიათ ერთის პაწაწინტელა კოშკივით ოთახში და არის ასე სულ შეხუთული. არ იქნა, მისთვის ერთი სეირიანი შენობა დღემდის ვერ ააგეს. მაგრამ ან-კი როგორ, როდესაც ყველას თავისის დუქნის წინ უნდა სამკითხველო. ზევით წაიღებ, ქვემოურები ქვეყანას აქცევენ, ქვევით წაიღებ, ზემოურები ჯავრობენ, განზედ წაიღებ, უკან ქვეყანა და ამდენს გაწევ გამოწევაში საწყალი სულ დაილია ლახოსტაკივით. ერთხელ საწყალი ცეცხლის წვერზედაც-კი აიტანეს, იქნება მოშლილიყო ჭვარი მოუხდეს და გამოირთულდესო, მაგრამ ვერ გასძლო მაღალ და კოტრიალით მარს დაუშვა, რის გამოც კარი და თალი მიიმტვრია. ამ ჟამად ისევ თავისს ადგილას განისვენებს, მაგრამ იმედია, გამგეობა გულმოდგინედ მოეკიდება და თუ დღემდის ამ „ზედაურქვედაურობის“ გამოსამდე ვერ მოახერხეს მისთვის შენობის აგება, ახლო მომავალში მაინც საკუთარი შენობა ექნება ყოველისავე მოწყობილობით და ხალხიც „შინ-ჩემიაობას“ თავს დაანებებს და ხელს აღარ შეუშლის გამგეობას.

დადგა პარკის დრო თუ არა, ლანჩხუთიც სხვა-და-სხვა ტომის ხალხით გაივსო. მეტი ნაწილი-კი „იანდები“ არიან. ამ ჟამად ლანჩხუთში ხუთი პარკის ფარდულია და ამათგან, გარდა ერთისა (ამხანაგობა), ყველა სომხებს ეკუთვნის. ესენი თავი და თავი „ადებო“ არიან, მაგრამ ეხლა კამისიონერებს არ იკითხავთ რამდენია? მოიქნიეთ ჯოხი და უთუოდ კამისიონერებს მოხვდება. ესენიც მოსაგებს მოელიან. საწყალო ჩვენო მშრომელო დედაკაცებო! რამდენი უქმი ხალხი ილესავს თქვენის ოფლით მონაგარზედ თავისს ცოდვილს კბილებს. ოღონდ ჩვენ გამოვრჩეთ ამას, თორემ იმას თუ გინდა რვა მანეთი აიღოს ფუთ პარკში, გაიძახის დღევანდელი კამისიონერი და უფრო და უფრო ილესავს კბილებს. რას აკეთებენ მერე ეს კომისიონერები? რასა და, კამისიონერსა აქვს დარიგებული თესლი სამეოთხედოდ და პარკის პატრონი ვალდებულია მეოთხედი მოსავლისა იმას მიუტანოს. აი კამისიონერი ჭზის გულზე ხელ დაკრეფილი არხეინად და გატაცებით მოელის პარკის მოსვლას; შემოვა თუ არა პარკი, კამისიონერი სასწორს აწყობს, მაგრამ როგორს, აღარსმა უწყის... ვისაც თესლი მისცა, ის მორჩილებით ეზიდება კამისიონერთან ხვედრს მეოთხედს, ის კი სომეხს მისცემს და ფუთზედ მანეთის კომისიას აიღებს. ასე რომ, კოლოფიდგან მეოთხედი იმისა, თესლის საფასიც, მტერდი მაზანდიდგან ცხრა მანეთი, მანეთსაც გზაზედ გამორჩა, ეს ათი მანეთი. ასეთი კოლოფი ერთი ასი მაინც იქნება დარიგებული, —ეს ათასი მანეთი. და აი გუშინდელი უქმი ხელი დღეს იუდასავით რამდენ ვერცხლს ითვლის, მაგრამ ვინაა გამკითხავი. თუ ასეთი მუქთა ხალხი ფულს იგებს, სამაგიეროდ საწყალი, პარკის მაჩვეელმეუნდელი ქალები, დილის ხუთი საათიდგან საღამოს რვა ცხრა საათამდე, დღეში სამ შაურად ჭმუშაობენ. თითოეულ ფარდულში იქნება ორასი სამასი მაინც პატარა თუ დიდი ქალი, ამათთვის არც ქირის მომატება, არც სამუშაო დღის შემოკლება არ არსებობს. ესენიც, როგორც კომისიონრები, თითო-ოროლა ჯადო მეთაურ ქალს ემორჩილებიან, რომლებიც თითონ სამ-სამ აბაზს იღებენ და სხვებს-კი ასე მცირე ფასად ამუშავებენ. ერთი სიტყვით, პარკის დროს ნამდვილი მშრომელი პირ ღია რჩება და უქმი ხელი-კი ყველაზე მეტს იჯიბავს.

ოფიშტიელი.

---

ბის განჯა ცალკე და სომხებისა ცალკე დღეს შეერთებულა და უშველებელ ქალაქად გამხდარა... მოედნები, მშვენიერი ბაღი, უშველებელ მეჩეთის ახლო უშველებელივე ტაძარი... ხანების სასახლისკენ იწევს გული, მაგრამ მის ნაცვლად უშველებელი და მშვენიერი შენობა გემნაზიისა მხვდება... ნასახი და ნატამალი აღარა შეურჩენიათ. რა აქ ხანების სადგომიდგან... იქ, სადაც მდივანხანა და განსასამართლებელი სახლი იყო, თვისის ტყვეთათვის ორმოებით და სასჯელ იარაღებით სავსე, ის ციხე მიუნგრევიათ და ზედ ეხლა სამლოცველოს აშენებენ. . აოასში ერთგან ჰხედავ კიდევ უწინდელ ქუჩების ნანგრევებს, ან ძველებურს სახლს, რომელსაც ეხლა მუშა მაინც ადგია და სპობს, რომ ახალი მოაშენონ... როცა ჰხედავ ვირებზედ მსხდარ სოფლიდგან შემოსულ თათრებს, ან ცხენებით მობრძანებულთ ცოტა რამ შეძლების პატრონ განჯელებს, მაშინ თუ მოაგონდება, რომ ამ ოთხმოცის წლის წინად აქ ხანობა იყო, რომელიც ყველა მეკომურს ჰკვეცავდა 170 გირ. ხორბლით—გინდ 3 მანეთ (ხანის მანეთი 30 კ. უდრიდა) ფულით, ასის ცხვრიდგან ერთს ცხვარს იღებდა, მეთევზის ყველა წარმოებისას—სომეხს, ურიას, ამის გარდა, ერთი ხანის მანეთი სხვა უნდა მიეცა თუ ცოლიანი იყო, უცოლოთ-კი 55 კ., რომ სასულიერო წოდება—სეიდი, ახუნდი, მოლლა იყო მოსამართლე ხალხისა. მკვლელი მოკლულის ნათესავებს ეძლეოდა და ამათი ნება იყო აცოცხლებდნენ, თუ მოჰკლავდნენ. ქურდს პირველ მეორე ქურდობისთვის მათრახით სცემდნენ, მესამედ თვალსა სთხრიდნენ და ზოგჯერ ჰკლავდნენ კიდეც... სხვა სახანოს კაცი კი აუცილებლად სიკვდილით ისჯებოდა და თავისს მმართველობას არ ეგზავნებოდა.

ცოლი კანონით ყველას ერგებოდა, მხოლოდ მხევლები—რამდენსაც შესძლებდა... განქორწინება ყოველ ჟამს იყო შესაძლო და სხ. მაგრამ, ჰე, სულ წარსული და წარსული.—არც ახალი იყო ურიგო, როდესაც პატივცემულმა მას პინძელმა განჯურის საუკეთესო ღვინოებით აგვიპრელა სუფრა... მშვენიერი ვენახებია აქა. ლერ ამზედ გასული ვაზი იძლევა საუკეთესო „დეზერტის სორტ ყურძენს“. მაგრამ სიმრავლე ნაყოფისა—სადვინე დაც დიდ ბაღებს აშენებინებს ეხლა მეღვინეობის მრეწველთ.., „პადვალური“ დარგი მეღვინობისა, პლანტაჟი და ამისთანა რამეები სომხებს, ნემეცებს უკვე გაუჩაღებიათ...

ნიადაგი განჯისა, ოდესმე ზღვის ძირი, შეიცავს მრავალ გვარ მარილსა და სიმჟავეს—ამას, თქვენ რაც გნებავთ თქვით—მე-კი ვუმატებ კაცის სისხლით ნიადაგის გაჟღენთვას... დიახ გაპოხ-გაჟღენთვას, რადგან ეს ადგილები იმ თავით გზა-კვალი კაცობრიობის ომებრივ მიმოსვლისა ყოფილა... აი, ყველა ეს ჰხდის აქაურ ღვინოს, წყალს და პურსაც-კი, განსაკუთრებულ გემოსას. ღვინო მეტი მძიმე სასმელია—მასპინძელი გვასმევს ღვინოს კახურ ვაზებისას, რომელნიც აქ გადმოუტანიათ და უხეირებიათ, მაგრამ ნიადაგს თავისი არ მოუშლია... დიადი სიმდიდრე ნიადაგისა და ბუნებისა თვალწინ გეჩხირებათ...

ტრიალს მინდორს, თვალითგაუწვდენელს დავცქერი მეორე დღეს ეტლითვე სადგურისაკენ გამგზავრებული და ვკვირვობ კეცივით გადახრიოკებას ამ ძვირფასის ნიადაგისას უწყლოდ, მხოლოდ სადაც წყალს მიუყვენებ და მოჰრწყავ, იქ მცენარე ტროპიკულად განგაშებს...

ისევ მატარებელი, ისევ რახრახ—გუგუნი, ისევ განსვენებულის შელგუნოვის სიტყვების გახსენება, რომ ზევითკენ მგზავრნი ცოტაა და იმიტომ სიხალვათეო... აგერ ბაქოელი „ტუზებიც“ გაბლინძვით პირველ კლასში გამოსცქერიან ისტორიულად დიდებულ არე-მარეს. . მე ტურგენიევის სიტყვები მაგონდება: „კაცი ფიქრის ბატონი—ლერწამია.. შეიძლება ილუპებოდეს დუნია, ეს უზარ-მაზარი მთები ერთმანეთს ფლავდნენ უფსკრულში, შეიძლება იმ ლერწამსაც ასეთი ძალა დაადგეს და ტვირთისაგან მიდიოდეს ქვესკნელს, მაგრამ დიდებული მთა ვ რ იგრძნობს თავისს დალალვას... გონიერი ჰგრძნობს თავისს მოსპობასა, იგი ფიქრით სავსე იღუპება“... მცირე რამაა ეს სანუგეშებლად, მაგრამ დიდებული ნუგეში-კია!!..

დიახ, კაცი-კაცობს ფიქრით, იმ დიდებულ იდეალების წარმოდგენით, რომლებიც ქვეყნის შექმნიდგან დათავებამდე არსებობენ და იარსებებენ. რაა გაბლინძვა ბაქოელ ფულის ტუზისა?!.. ამ მინდვრებს ბევრი გაბლინძული სისხლის მსმელი სარდლები და მეომარნი უნახავს... ეხლა ფულიან ტუზებს ვუმზერ.. მაგრამ მქვეყნის პანარამა ამით არ დათავდება...

გადმოველ ტფილისის სადგურზედ—აგერ ახალგაზრდა ნაცნობი, სწავლა დათავებული, კოპწიათ საცმული... გამოვეთხოვე რუსის სტუდენტს, დებით და დედით ბაქოს სანახავად რუსეთიდგან წამოსულთ, და მივუახლოვდი ჩვენებურს...

— საით, ბიძიავ?

—პარიჟისაკენ, სთქვა მან ნაზის წყენით: ვგონებ, სიტყვა ბიძიას გამო

— რად?..

— ვისიამოვნებ—ვნახავ... ქვეყანა იქაა,—გამოფენა!..

— ჩვენი ქვეყანა მოიარეთ? აი მე ეხლა განჯიდგან მოვდივარ...

— რაა ! ასიამოვნო და საინტერესო იქ? რა ჩემი საქმეა... გაცნობა ხალხის, მის ეკონომიურ წეს-წყობილების—ავან-ჩივანის, კვნესის მოსმენა... და სხვა...

— ეჰ, ნაგას ჩვენი ლიტერატურიდგანაც თვალ-ყურს ვადევნებ და ვისმენ—სთქვა მან უფრო მიტომ, რომ მეტის-მეტ რეტროგრადად და ფუქსავატად არ ეჩვენებინა ჩემთვის თავი..

— გზა მშვიდობისა—მეთქი და მომაგონდა პლატონ იოსელიანის მასხარა კამათი: უნდა ითქვას: მაუდი გამოვიწერე რუსეთიდგან, ფარჩა პარიჟიდგან, ხოლო ძროხა დავიბარე გოლანდიიდგან, ვირი თავრიზიდგანო“ და სხ..

მღ. ზ. გულისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენ უკვე გვქონდა ჩვენ გაზეთში მოხსენებული ბ-ნ არტურ ლეისტის წიგნი „ქართველი პოეტები“, დაბეჭდილი გერმანულს ენაზედ, რომელშიაც მოთავსებულია ჩვენის პოეტების თხზულებათა ნიმუშები და აგრეთვე მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. აი, ამ წიგნის გამო რასა სწერენ უცხო ქვეყნის გაზეთები:

„Pfaelzische Presse“, გარდასცემს რა თავისს მკითხველებს შინაარსს წიგნისას, სწერს:

„სიამოვნებით მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას ამ კრებულს მით უმეტეს, რომ მან სალიტერატურო წრეებში უკვე დიდი სახელი დაიმსახურაო“.

„Leipzig Neueste Nachrichten“ სწერს, სხვათა შორის:

„დასაწყისში ბ-ნი ლეისტი მოკლედ გარდმოგვცემს ქართველთა ლიტერატურის ისტორიას და თვით კრებულიც ფრიად მდიდარია ქართველთა ლირიკის მშვენიერის მაგალითებით. რასაკვირველია, ქართველთა პოეტების ნაწარმოებზედ გავლენა ჰქონია მშვენიერს ბუნებას საქართველოსას. ეს ლირიკა ძალიან სურათოვანია და მხატვრული. სიამოვნებით მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას ამ წიგნზედ, რომლის მთარგმნელსაც მისით დიდი ღვაწლი მიუძვის“.

„Boucovinaer Rundschau“:

„ამ წიგნში ბ-ნ ლეისტს მოთავსებული აქვს ქართველთა ლირიკის ნიმუშები, იმ ერისა, რომელსაც უკან ორი ათასწლოვანი თავისებური კულტურა მიუძღვის. წინასიტყვაობა წიგნისა ფრიად მდიდარია სხვა-და-სხვა გვარის ცნობებით და იგივე კარგად გვაცნობებს ისტორიას ქართველთა ლიტერატურისას. ამ გვარად წიგნს დიდი ლიტერატურულ-ისტორიული ღირსება აქვს და უკვე მეორე გამოცემად დაბეჭდილა. წინასიტყვაობას მისდევს დიდის ხელოვნებით არჩეული და შეკონილი ლექსები. ამ ლექსებში ღრმა გრძნობაა ჩაქსოვილი, რომელიც ცხად ჰყოფს თვით მისის შემქმნელების ღრმა გრძნობიერებასაც; ამ ლექსებშივე სჩანს არა ჩვეულებრივი თანაზიარ ყოფა ბუნებისა და საკვირველი ხელოვნება ბუნების მშვენიერებათა აღნიშვნისა. კეთილ-ხმოვანის და მწყობრის ლექსებით ავტორმა მოიპოვა საზოგადოების მკვიდრი სახელი საუკეთესო მთარგმნელისა“.

„Neue Uiener Tageblatt“-ი:

„მთარგმნელი გვაცნობებს ისეთს ლექსებს, რომელთაც არა-ჩვეულებრივი პოეტიური მშვენიერება განასხვავებს. პოეზიის თაყვანის-მცემელნი ამ წიგნის წაკითხვით იმდენსავე სიხარულსა და სიტკბოებას მოიპოვებენ, რამდენსაც ეტნოგრაფები, რომელთაც მთარგმნელი წინასიტყვაობაში ქართველთა შესახებ მრავალს საყურადღებო ამბავს აცნობებს“.

„Deutsche Wacht“-ი:

„წიგნი ესე მშვენიერს, გულ-მოდგინედ შედგენილს ანტოლოგიას წარმოადგენს. წიგნს უძღვის ფრიად საფუძვლიანად გამოკვლეული წინასიტყვაობა, რომელიც აღსავსეა ქართველთა კულტურისა და ზნე-ჩვეულების შესახების ცნობებით. უფრო საყურადღებოდ ქართველთა პოეტურ ნაწარმოებთა შორის მეცხრამეტე საუკუნეში დაწერილი ლექსები მიგვაჩნია, რადგან ამ საუკუნეში ქართულმა პოეზიამ ზურგი შეაქცია აღმოსავლეთს და ევროპიულს აზრს-შეხედულებას დაუახლოვდა“.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს ლექსები „ჩონგური“ ბარათაშვილისა და „ცრემლები“ დუტუ მეგრელისა, და დასძენს:

„ქართველი პოეტები კიდევ იმითი იწვევენ ჩვენს თანაგრძნობას, რომ იმათს ლირიკაში არიული გრძნობა გამოისმის. წიგნის ბოლოში მოთავსებულია ხალხური ლექსები და თქმულებანი რუსთაველისა და სხვა პოეტებისა. ამათ შორის შევხვდით მშვენიერ თქმულებათ თავ. ილია ჭავჭავაძისას, რომელიც ამბობს, რომ

„პატიოსანთ მტერთა შორის
მოციქული ნამუსია“-ო.

და

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო!“

ეს უკანასკნელი თქმულება ამტკიცებს, რომ ქართულს მწერლობას უკვე შეუგნია თვისი დიადი მნიშვნელობა და დანიშნულება და დიდადაც აფასებს ამასაო“.

„St. Peterbourgch Zeitung“-ი:

„ეს წიგნი მეორე გამოცემად იბეჭდება და ახლად დართული აქვს წინასიტყვაობა, რომელიც მისს მნიშვნელობას აორკეცებს. წიგნში მოთავსებული ლექსები ფრიად მხატვრულია და ყოველ სტრიქონიდგან სჩანს დიდი პოეტური გრძნობა მისს ავტორთა. რუსეთის მცხოვრებთათვის ამ წიგნის გაცნობა მით უფრო საინტერესოა, რომ ეს ლექსები ეკუთვნის იმ საქართველოს, რომელიც შეაქო თვისის ლექსებით რუსეთის პოეტმა ლერმონტოვმა“.

## რუსეთი

—

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს წრეულს შემნახველ კასებში, სახელ-დებულ წიგნაკებს გარდა, უსახელონიც შემოიღოს. აწინდელ წიგნაკების ნაცვლად შემოღებული იქნება ესრეთ-წოდებული ჩეკის წიგნაკები, რომლით სარგებლობაც მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნეთ შეეძლებათ. თითოეულს წიგნაკში 25 ფურცელი იქნება და თითო ფურცელს ფასად 25 კაპ. დაენიშნება. ამ გვარად, თუ ფულის შემტანს კასიდგან ფულის გამოტანა სურს, მან ხელი უნდა მოაწეროს ჩეკს და ეს ჩეკი კინც უნდა მიიტანოს კასაში, ფულის გამოტანა შეეძლება.

— შეუძლიან თუ არა მღვდელს ზიარების მსოფლიო გამოფენაზედ წასვლის ნება-რთვა აიღოს? ამას შეეკითხა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ჟურნალის რედაქციას ერთი მღვდელთაგანი. ჟურნალმა უპასუხა, რომ სასულიერო კონსისტორიის წესდების მე-82 მუხ. ძალით მღვდლებს შეუძლიანთ საზღვარგარეთ წასვლა მხოლოდ „ავადმყოფობისა გამო საწამლებლად“ და რომ ნება-რთვა მღვდლებმა საზღვარ-გარეთ წასვლისა ადგილობრივ ბოქაულებისაგან უნდა აიღონო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი.

**შანხაი.** ვუზუნგის სატელეგრაფო სადგურის დამცველი საზღვაო ჯარი უკან დაბრუნდა. საშიში აქ არა არის-რა.

**ჩიფუ.** ამბავი მოვიდა, რომ ორის დღის განმავლობაში ტიანძინს განუწყვეტლივ ზარბაზნებს ესროდნენო. ზედ მიწევნით ასი კაცი დაუკარგავთ. როგორც ხმა მოვიდა, სეიმური იძულებული თურმე გახდა ტიანძინში დაბრუნებულიყო. აგერ უკვე ორი კვირაა პეკინიდგან არავითარი ცნობა არ მოსულა.

**იოკოჰამა.** 15 ჯარის გადასაყვანი ხომალდი და 4 სამხედრო ხომალდი ჩინეთს მიდიან, 12 სხვა კიდევ მზად არის. ეს ხომალდები ფორმოზაში იქმნებიან გაგზავნილნი, რადგანაც ფორმოზა სწორედ ფუკიენის პირდაპირ სძევს. ამით სულ 18 ხომალდი მზადდება ახლა წასასვლელად. როგორც ფიქრობენ, ჩინეთში შედარებით მეტი ხომალდები იქნება გაგზავნილი.

**ბამონია.** ბურების მძლავრმა რაზმმა მთა დაიჭირა, საიდგანაც იომანრების მწვერავ ჯარისათვის გზა უნდა შეეკრა. რენდლის მსროლელი ჯარი მოულოდნელად დაესხა თავს ბურებს, რის გამოც ბურებმა უკან დაიხიეს.

**ბრიუსელი.** ჩინეთიდგან მოსულ ცნობებით, საერთაშორისო რაზმი და რუსეთის ჯარი ერთად შესულან პეკინში. სადიპლომატო მისსიები უვნებლად დარჩა.

**შანხაი.** 15 ივნისს „დიდი მუშტის“ ბრბო ორი მხრიდგან მიესია ტიანძინს. ჯერ ადგილობრივ მცხოვრებთა უბანს დაუშინეს ტყვია და მერე უცხოელებზედ მიიტანეს იერიში. რკინის გზის სადგური უკვე რუსეთის ზარბაზნებით იყო დაჭერილი. როდესაც „დიდი მუშტი“ სადგურს მიუახლოვდა რუსებმა სროლა ასტეხეს. „დიდი მუშტი“ ამას არ მოელოდდა. რუსების ტყვიებმა საშინლად დაზარალა მტერი. 15 ივნისს „დიდმა მუშტმა“ დიდი ვნება მიაყენა ტიან-ძინის იმ უბანს, სადაც ჩინელები სცხოვრობენ. უცხო-ქვეყნელთა ჯარი იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ შესძლო იმ ადგილების დაცვა, სადაც უცხო-ქვეყნელნი სცხოვრობენ. ჩინელების გაზეთები შანხაიში ამტკიცებენ, რომ მანჯურიის დასში უთანხმოებააო. პეკინის სასახლეში დიდი არეულობაა. იმპერატრიცას გაქცევა განუზრახავს; პრინცები ტუანი და კუნგი დიდი წინააღმდეგნი არიან იუნგლუსი და იმათი, რომელნიც იმპერატრიცასა და იმპერატორს სხვა სახელმწიფოებთან მორიგებასა სთხოვენ. ეს ხმები პრივინციის მოხელეების მიერ ნალაპარაკევზეა დამყარებული.

**შანხაი.** ელჩები სათათბიროდ შეიკრიბნენ. ჰფიქრობენ, ის გარემოება, რომ პეკინიდგან ამბავი არ მოდის, ცუდის მომასწავებელიაო. ვაჭრობის შეჩერებისა გამო, 20,000 მუშა ულუკმა-პუროდ დარჩა. ელჩებმა გადასწყვიტეს, დეპეშით მიჰმართონ ჩიფუში მყოფ უფროსს ელჩებს და სთხოვონ, მოელაპარაკნენ ტაკუში მყოფ უფროს აფიცრებს, რომ დაუყოვნებლივ დახმარება იქმნას აღმოჩენილი.

**ლორენცო-მარკეზი.** ტელეგრაფი გაფუჭებულია კაპშტადტსა და ტრანსვაალს შუა. ტრანსვაალის მთავრობას ფული დიდად უჭირს. პრეზიდენტი სცდილობს ამ საქმეს ხაზინის ბილეთების გამოცემით უშველოს, მაგრამ ხალხი ასეთ ბილეთებს არ იღებს.

10 ივნისი

**პეტერბურგი.** განსვენებულის გარეშე საქმეთა მინისტრის პანაშვიდს ცხედართან 9 ივნისს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

დროებით გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართველად მინისტრის ამხანაგი გრაფი ლამზდორფია დანიშნული.

ვიცე-ადმირალის ალექსეევისაგან პორტ-არტურიდგან 7 ივნისს შემდეგი დეპეშაა: „ტაკუში ჩინელებს ოთხი მუსრის გამვლები იარაღი წავართვით და ასე გავინაწილეთ: ერთი ჩვენ ავიღეთ და თითოც ინგლისელებმა, ფრანგებმა და გერმანელებმა. ინგლისის გემ „Algerieu“-ზედ ორი აფიცერია დაჭრილი და ოთხი მატროსი, გერმანიისაზედ „Jltis“ ერთი აფიცერია მოკლული და ექვსი ზღვაოსანი, დაჭრილია უფროსი და 8 ზღვაოსანი; საფრანგეთის გემზედ სამი ზღვაოსანია დაჭრილი.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დეპეშით პრეტორიიდგან: „გენერალ გამილტონის ჯარი გეიდელბერგისკენ მიდის, რომ ბულლერის ჯარს შეუერთდეს. ეს ჯარი სტანდერტონში მივა, რომ პრეტორიასა და ნატალს შუა თავისუფალი მიმოსვლა შეიძლებოდეს და ტრანსვაალ-ორანჟელ ბურების შეერთებულს მოქმედებას ხელი შეუშალოს. ტყვედ წაიყვანეს სტეინი და ორი ფელდ-კორნეტი. რუსტენბერგის მმართველს 3,000 თოფი ჩააბარეს“.

ბულლერი იუწყება, რომ სტანდერტონი უკვე აუღიათ. მტერი გასცლია და რკინის გზის ხიდი აუფეთქებია.

**ლონდონი.** ათასამდე ზღვაოსანი და საზღვაო ჯარის-კაცთა დიდი რაზმი პორტსმუტიდგან ჩინეთის სადგურზედ იქმნა გაგზავნილი. პლიმუტში ბრძანებაა გაგზავნილი საზღვაო მსროლელი ჯარი და ქვეითა ჯარი მომზადდეს.

**ჩიფუ.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ ტიან-ძინს ერთთავად დიდი ზარბაზნებიდგან ესვრიან. უცხოელთა ამხანაგობების სახლები თითქმის ყველა გადასწვეს; ამერიკის საკონსულო დააქციეს. მოშვილება საჭიროა. ზარალი დიდია

**ნიუ იორკი.** სამისიონერო საზოგადოების მდივანმა დეპეშა მიიღო, რომლიდგანაცა სჩანს, რომ 24 მისიონერი მოუკლავთო ტიან-ძინში. ამათ შორის ქალებიც ყოფილან.

**ბერლინი.** ტაკუში მყოფი ესკადრის უფროსი იუწყება 7 ივნისიდგან, რომ, როგორც საფრანგეთის ოფიცერი იუწყება ტიან-ძინიდგან, სამი დღე თურმე ჩინეთის ჯარი ზარბაზანს უშენს უკანასკნელსა. საომარი მასალა ქალაქში ცოტა-ღაა. „Jrene“-მ ტაკუში 240 ჯარის-კაცი მოიყვანა, რომლებიც მაშინვე 380 ინგლისელთანა და რუსეთის ჯართან ერთად ტიან ძინში წავიდნენ. რკინის გზით ტიან-ძინისკენ მხოლოდ 12 ვერსამდე შეიძლება გაიარო. პეკინში გაგზავნილ ჯარების შესახებ არავითარი ცნობები არ არის. დაჭრილნი კარგად არიან.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ პეკინიდგან სეიმურისაგან არაფერი ამბავი არა გვაქვსო. როგორც ტიან ძინელმა შიკრიკმა გვაცნობა ტიან-ძინზედ თურმე რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, მაგრამ უკუ-აქციესო. 4 ივნისს ჩინელებმა უცხოელთა უბანს სროლა დაუწყეს. საერთაშორისო რაზმი ჩინეთის სამხედრო სკოლას თავს დაესხა, დაუმტვრია იარაღი, მოუკლა მცველები და ტყვია-წამალი თითქმის მთლად დაუწვა. რუსებმა ამ საქმეში ძალიან გაიმარჯვეს. ინგლისელებს 6 დაუჭრეს და 1 მოუკლეს. 4 ივნისს ჩინელებს ხიდის დაჭერა უნდოდათ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ და გენერალიც მოუკლეს. როგორც 7 ივნისის ცნობებიდგანა სჩანს, ტიან-ძინში ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა, მიშველება საჭიროა. ტაკუში მყოფ კონტრ-ადმირალი იუწყება გუშინ საღამოთი: „იმედია, ტიან-ძინს ამ ღამით უთუოდ განვათავისუფლებთო. მთავარ-სარდლისაგან არაფერი ამბავია. კრეისერმა „Ferrible“-მა დღეს 382 კაცი მოიყვანა“. ამის შემდეგ ბროდრიკმა სთქვა, რომ იმედია ამ ორ დღეში სხვა რაზმებიც მოვლენო. ბრიტანიის მთავრობას უკვე საჭირო ღონისძიებანი აქვს მიღებული, რომ ჩინეთში გასაგზავნად გამზადებული რაზმები შეავსოს.

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „Отъ Владикавказа до Кутаиса“, წერილები მოგზაურისა, ი. ს. ტყეშელაშვილისა. წიგნი რუსულს ენაზეა შედგენილი, შეიცავს 114 გვერდსა და ღირს 50 კაპ.

### წერილი რედაქციის მიმართ

უღრმეს მადლობას შევსწირავთ როგორც მე და ჩემდამო რწმუნებულ სკოლის მოსწავლეები, ისე ალაგირის ქართველი საზოგადოება დროებით კავკავში მცხოვრებთ ალექსი ნონიას ძეს და ალექსი სპირიდონის ძეს ლობჟანიძეებს და ბ-ნთ ზურაბს და იასონ ჩიკვილაძეებს, რომელთაც შემოსწირეს ალაგირის ქართულ სამრევლო სკოლას პირველმა—ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ მეორის სურათი მშვენიერ ჩარჩოში ჩასმული, ღირებული 8 მან., მეორემ კედლის საათი, ღირებული 7 მან., მესამემ—5 მანეთი, ხოლო უკანასკნელმა მიმდინარე 1900 წლის ჟურნალი „მოამბე“ და გაზეთი „ცნობის ფურცელი“.

ალაგირის ქართულ სამრევლო სკოლის მასწავლებელი პავლე ლომთათიძე.

## განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, ამა წლის 12 ივნისს ნაშუადღევის 12 საათზედ მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა იმ ნავვის, ქვისა და მიწას გაზიდვის საქმე, რომელიც ციციანოვის კლდის ჩამონგრევის დროს შეიკრიბა. იჯარა სულ 100 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ ქალაქის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9 დგან 3 საათამდე.

(2—ნ.—1)




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე